საქართ. მემარცხენე სოც-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნომპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

შაბათი, დეკემბრის 16
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 16 დეკემბერს

ორი ჯიბგირი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 717. 3—3

ორშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის შენობაში დანიშნულია

კომუნალური განყოფილების, შინაგან მმართველობის მ. ტ გ. ინ.

განყოფილებათა სექციების სხდომა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაესწრონ თავის დროზე.

3—2 მდივანი ხუნდაძე.

ლოზანას ირგვლივ

როგორც მოსალოდნელი იყო ლოზანის ირგვლივ ჩვეულებრივი მოვლენები მეორდება, რითაც ხასიათდება უკანასკნელი კონფერენციები საერთოდ.

ინციდენტს ინციდენტები ახლავს და თუ ერთი მხრით ისმეტ-ფაშა შეურიგებელ პოლიტიკას ადგია, მეორე მხრით კერზონი აცხადებს, რომ ისმეტ-ფაშის პოზიციას შეუძლია კონფერენციის ჩაშლა და მოკავშირეთა დელეგატების წასვლა ლოზანიდან.

მოკავშირენი ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სახით ცდილობენ ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩაერიონ და განაგრძონ ახალ ფორმებში ძველი პოლიტიკა, მაგრამ ოსმალეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ასეთ ცდას ისმეტ-ფაშა გარკვევით აცხადებს, რომ დროა ბოლო მოედოს უცხოეთის მიერ ოსმალეთის საქმეებში ჩარევას. კერზონი იძულებული ხდება განაცხადოს, რომ თუ ოსმალეთი არ შესცვლის თავის პოზიციას მოხდება კონფერენციის ჩაშლა.

[illegible], რომ მუდამ იმ ინტერესთა დაპირისპირებას, რომლის შესახებ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თვით ფაქტი კონფერენციაზედ შექმნილი მდგომარეობისა ნათელყოფს, რომ ევროპის დელეგაციებსა და დიპლომატებს კერძოდ და ევროპის პოლიტიკას საერთოდ ჰაერის გამოცვლა ვაშინგტონიდან კანაში, კანიდან გენუაში, გენუიდან ჰააგაში და ჰააგიდან ლონდონსა და ლოზანაში ვერ უმატებს სასიცოცხლო ძალებს და დაქვეითებული სხეული ჰაერის გამოცვლით გაჯანსაღების ნიშნებს ვერ გვაძლევს.

ჩვენში ყოველთვის საკმაოდ მოიპოვებოდა „იმედიანი ხალხი“, რომელნიც გასცქეროდა ზემოხსენებულ კონფერენციების „ნაყოფიერ მუშაობას“ და დღესაც ალბად გასცქერის კიდევ.

ჩვენ ამ მხრით ისტორიული ნაბიჯი გადავდგით და მთელ ქართველ მშრომელ ხალხს განვუცხადეთ, რომ ერის თავისუფლება არ შეიძლება მოვიდეს კაპიტალისტური სამყაროდან. ჩვენ ობიექტიურად შევაფასეთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მოვლენები და პატრიოტული ფრაზეოლოგიით არ შევცვალეთ ქართველი ხალხის პოლიტიკური აზროვნების არეში გამოსვლას.

მემარჯვენე პარტიები, რომელნიც თავისი ინტერესით არ შეიძლება დამდგარიყო საბჭოთა წყობილების ნიადაგზე იმ თავითვე ევროპისაკენ იცქირებოდნენ და საერთაშორისო კონფერენციებით ცდილობდნენ საკითხის მათდა სასარგებლოდ გადაწყვეტას. დღეს ლოზანას შემდეგ მაინც უკვე შეეპარა კრიტიკულად მოაზროვნე ელემენტებს მემარჯვენეთა პოლიტიკურ სიბრძნეში.

პრესსა

საბჭოთა დაწესებულები პირდაპირ ქაღალდის სახელმწიფოდ გადაიქცა. ამდენი მიწერ მოწერა, ამდენი ფორმალობა და ამდენი მოსამსახურეები, გარდა იმისა, რომ ერთობ ძვირად უჯდება ღარიბ სახელმწიფოს,—იმდენ დროს აკარგვინებს მოქალაქეს, რომელიც რაიმე საქმისათვის მიმართავს ჩვენ დაწესებულებებს, რომ ყველანი თავშიდს იწყევლიან, ვინც კი გამოსცადა. ამ გარემოებას სამართლიანად აღნიშნავს ამხ. ს. გ—ძე „კომუნისტის“ № 285-ში. მოგვყავს ეს წერილი სავსებით.

უთავბოლობა

„რომ საბჭოთა ორგანოები მოსამსახურეებით ძლიერ გაბერილია, ამაზე ბევრი ითქვა, შტატების შემამოკლებელი კომისიების, რომელთა რიცხვი არა ერთი და ორი იყო, მუშაობა უნაყოფოდ დარჩა. მოხდა ძლიერ უმნიშვნელო შემცირებანი. მაგრამ, ახლა შტატები გაიზარდა და კიდევ თანდათანობით იზრდება, ვერ ნახავთ ვერც ერთ დაწესებულების სათავეში მდგომ ამხანაგს, რომელმაც არ შემოგჩივლოს, რომ მუშაობის რიგიანად წარმოება შეუძლებელია, თუ მისი დაწესებულების შტატი არ იქნა გადიდებული.

ეს სრული სიმართლეა. ის სამუშაო, რომელსაც აწარმოებენ დღეს დაწესებულებანი, სწორედ რომ მოითხოვს მოსამსახურეთა ორჯერ-სამჯერ მეტ რიცხვს, ვიდრე დღეს არის. ამიტომ გაცილებით უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ გადასინჯულიყო არა მოსამსახურეთა რიცხვი არამედ თვით ის მუშაობა, რომელიც აუცილებლად ჰხდის მრავალ რიცხოვან მოსამსახურეთა შტატის ყოლას, უნდა ითქვას, რომ დაწესებულებებში, უმეტეს ნაწილად, ისეთი მუშაობა ტარდება, რომელიც არავისათვის არ არის საჭირო, და მხოლოდ ხელს უწყობს ბიუროკრატიზმს, ხოლო ნამდვილ ფუნქციონალურ მუშაობას ხელს უშლის და აფერხებს.

ჩვენი დაწესებულებანი ძალით ჰქმნიან საქმეს. თუნდაც ავიღოთ თვიური ანგარიშები მუშაობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ორი მესამედი მთელი სამუშაო დროისა მიდის „ანგარიშების“ შედგენაზე. სდგება სხვა და სხვა პერიოდის ანგარიშები. ორ-კვირეული, თვიური, ორ-თვიური სამ თვიური და სხვა. არ გეგონოთ, რომ თვიური და სხვა. არ გეგონოთ, რომ თვიური ანგარიშის შედგენით ორ-კვირეული არ სწარმოებდეს, ან სამ თვიურ ანგარიშის შედგენით აღარ იქნეს საჭირო ყოველ თვიური. ორკვირეულიც სდგება, თვიურიც სამთვიურიც და ერთი მეორეს ისინი ხელს არ უშლიან. რომ ვიანგარიშოთ, ჩვენ დაწესებულებათა უმეტეს ნაწილს, საშუალო რიცხვით, თვეში უხდება ორი-სამის ანგარიშის შედგენა.

ძლიერ საინტერესოა შინაარსი ამ ანგარიშებისა. იწყება ყველა ერთი და იგივეთი. ობიექტიური პირობები, ხელის შემშლელი მიზეზების, შემდეგ ბელეტრისტიკა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო, რა ჰქონდა განზრახული და ვერ გააკეთა იმ მიზეზის გამო, რომ ხელი შეუშალა ობიექტიურმა პირობებმა და დასკვნაში ისევ ის, რაც შესავალში. შემოსულ-გასავალ ქაღალდების მსვლელობა, მისი ანალიზი, მტკიცება, რომ შემოსულ-გასულ ქაღალდების რიცხვის ზრდა მუშაობის გაზრდის მაჩვენებელია. ამას უსათუოდ შემდეგი სიტყვები მოჰყვება: „აუცილებელია კანცელარიაში შტატის გადიდება, თორემ მუშაობა შეფერხდება“-ო.

მოხსენებაში თქვენ შეხვდებით „პოეტური ნაწარმოებსაც“. მაგალითად, ერთი მაზრის აღმასკომის განყოფილების გამგე სწერს თავის თვიურ მოხსენებაში, თუ როგორი გაემგზავრა ის კრებაზე მოხსენების გასაკეთებლად, როგორი შეჯდა ცხენზე, როგორი ბუნება იყო, როგორი ამინდი, რამდენი წყალი გაიარა და სხვა.

ავიღოთ ყველა ეს გრძელი მოხსენებები, ამოშალეთ ზედმეტი ადგილები, ობიექტიური პირობები, შემოსულ-გასულ ქაღალდების ანალიზი, ცხენი, ბუნება, მზე, წვიმა და ხელით დაგრჩებათ რამოდენიმე წინადადება, რომლებიც დაახლოვებით ეხებიან საქმეს.

ამნაირად თვიდან თვემდე იხარჯება ქაღალდი, ენერგია, აუარებელი დრო და „ობიექტიური პირობები“ მაინც ძველებურად რჩება. მის მოსასპობად კი საჭიროა „კანცელარიის შტატის გადიდება“.

რასაკვირველია, რომ მრავლის დაწერა, რომ რატომ ასეთ მოხსენებებს სწერენ, არ შეიძლება. ვინაიდან ორი კვირის და ერთი თვის მუშაობა ისე მცირეა, რომ, თუ მართლა, „ობიექტიური პირობები“ და ბუნება არ დაიხმარა ავტორმა, არაფერი არ გამოვა. თვიური ანგარიში კი უეჭველად უნდა წარადგინონ, ასეთი ბრძანება არის ცენტრალურ დაწესებულებიდან.

უნდა როგორმე ბოლო მოვუღოთ ასეთ უნაყოფო მუშაობას. მოხსენებების წერას უნდა ცოტა დრო მოვანდომოთ მოვსპოთ სრულიად თვიური მოხსენებები და მათ მაგივრად შემოვიღოთ ორი-სამი თვის ანგარიშები. მოვსპოთ გაუგებარი, რთული სტატისტიკური ბლანკები და შევცვალოთ მარტივი და ყველასათვის გასაგებით. ჩამოვაცილოთ ანგარიშებს ყოველგვარი შემოსულ-გასულ ქაღალდების ანალიზი. ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფუნქციონალურ მუშაობასთან. (შემოსულ-გასულ ქაღალდების რიცხვის სიდიდე მაჩვენებელია დაწესებულებების ნამდვილ ბიუროკრატიზმისა).

თუ ეს არ ვქენით, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობა ვერ გამოსწორდება. გაბერილი შტატები კი უფრო გაიბერება (ეხლაც ყოველ დღე იბერება) და ბოლოს და ბოლოს დაგვჭირდება მოხსენების წერა იმის შესახებ, თუ რამდენი მოხსენება შეგვიდგენია და დაგვიწერია.“

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

ამიერ-კავკასიაში არხების გაყვანა და მუღანის ველის სამელიორაციო მუშაობის შესახებ მოსმენილ მოხსენების შემდეგ, ყრილობამ დაადგინა, რომ საჭიროა ყოველ საშუალებით დაჩქარდეს განვითარება უკვე დაწყებულ დამუშავებისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში თან და თანობით გადასვლა და სომხეთის ველების მორწყვის მოსაწყობად დ ფოთის ჭაობის ამოსაშრობად.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებულ იქნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციას ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ამორჩეულია 150 კაცი. ცაკის წევრებად არჩეული იქნენ სტალინი და ენუქიძე.

ყრილობის უკანასკნელი სხდომები დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების ნიშნის ქვეშ.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის, თურქესტანის, ხივის, ბუხარის და ველანის ახალგაზრდობამ მიიღო კასპიის სამხედრო ფლოტის შეფობა.

ყრილობაზე დაესწრო 582 დელეგატი მათ შორის 503 კომუნისტია 19 ქალი. ეროვნული შემადგენლობა 175 ქართველი—131, სომეხი 16 და სხვ. ეროვნების—121.

ლოზანას კონფერენცია

ბერლინი 15 დეკ. ისმეტ-ფაშამ კერზონის სიტყვაზე პასუხის გაცემის დროს განაცხადა, რომ ოსმალეთის პოზიცია ეროვნულ უმცირესობათა საკითხში განმარტებულია „ნაციონალურ“ აღთქმაში.

ოსმალეთი და ერთა ლიგა.

ლონდონი 15 დეკ. იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა დელეგატები ერთა ლიგის საბჭოს მიმართავენ თხოვნით, რათა მან ინებოს ერთა ლიგის მომავალ კრებაზე მოიწვიოს საგანგებო სხდომა ოსმალეთის ერთა ლიგაში მისაღებად. მაგრამ ოფიციალურად კენჭის ყრა ოსმალეთის ერთა ლიგაში მიღების შესახებ მოხდება არა უადრეს სექტემბრისა.

ჩაილდის რჩევა.

ჰანცგერა 15 დეკ. ამერიკის ელჩმა ჩაილდმა ინახულა ისმეტ-ფაშა და ურჩია მას, ეროვნულ უმცირესობათა საკითხში წავიდეს დათმობაზე.

უცხოეთი

პოლონეთში

მოსკოვი. 15 დეკ. 13 დეკემბერს პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ პოლონეთის რეაქციის წინააღმდეგ გამოაცხადა ერთი დღის საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა. შინაგან საქმეთა მინისტრი კამინსკი გადადგა არეულობის ლიკვიდაციისათვის ზომების მიღებამდე. გაცემულია განკარგულება, რომლის ძალით აკრძალულია კრებები და მიტინგები.

ნარუტოვიჩის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს ბრბომ სცემა პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებს პეტროვსკის, დაშინსკის და სენატორ ლიმანოვსკის უკანასკნელები იძულებული იყვნენ დამალულიყვნენ მახლობელ აფთიაქში რომ თავი ეხსნათ გაბოროტებულ ბრბოსაგან. პოლონეთის სოციალისტურ პარტიამ მახლობელ ფაბრიკიდან მოხსნა მუშები და გაემართა აფთიაქში შეხიზნულ დეპუტატების დასახსნელად. დემონსტრანტებსა და მუშებს შორის მოხდა შეტაკება. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 4 კაცი, ორი მძიმედ დაიჭრა და რამოდენიმე მსუბუქად.

პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების ცერემონიალს მემარჯვენე დეპუტატები არ დაესწრნენ. ნარუტოვიჩი იძულებული იყო დიდი ხანი ეცადა სეიმის შენობაში, საჭირო შეიქნა ჯარების და ორი ავტომობილის ორი ტყვიისმფრქვევლით ჩარევა, რომ პრეზიდენტს ბელვედერში დაბრუნების საშუალება მისცემოდა.

გერმანელ მუშათა შიშით.

მოსკოვი. 15 დეკ. მუშათა მასების ზეგავლენით პროფკავშირთა ბიუროკრატები იძულებული არიან შესცვალონ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ლიუდვიგშაფენის ანილინის ფაბრიკის მუშების გაფიცვებისადმი. გერმანიის მთელი პროლეტარიატი მხარს უჭერს გაფიცულთ.

რურის ოლქის ბედი.

მოსკოვი. 15 დეკ. პუანკარეს პროექტით, მოკავშირეთა მთავრობებმა გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების გარანტიის სახით, უნდა მოახდინონ რურის ოლქის ოკუპაცია.

ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ იგი მხარს არ დაუჭერს საფრანგეთის წინადადებას რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ. მაგრამ ინგლისის მთელი პრესსა ამზადებს საზოგადოებრივ აზრს იმისათვის, რომ ინგლისი აცხადებს პროტესტს ფორმალურად, ფაქტიურად წინააღმდეგობას არ გაუწევს საფრანგეთის მიერ რურის ოლქის დაჭერას.

ფაშისტები საფრანგეთში.

მოსკოვი. 15 დეკ. საფრანგეთის მთავრობამ ფაშისტების ორგანიზაციების მოწყობის ნება დართო. ერთდროულად გაცემულია განკარგულება იტალიის ლტოლვილთა როგორც არა სასურველ უცხოელთა საფრანგეთიდან გაძევების შესახებ.

მარტის არჩევის გამო.

მოსკოვი. 15 დეკ. სენის დეპარტამენტის პრეფექტურის საბჭომ სანტეს ოლქის კანდიდატად მარტის არჩევის ანულაცია მოახდინა.

მშვიდობიანობის კონგრესი ჰააგაში

მოსკოვი 15 დეკემბერი. მშვიდობიანობის კონგრესმა ჰააგაში პირველ დღიდანვე მიიღო ანტი-კომუნისტური კურსი. კონგრესის რეფორმისტულ ბიურომ უარჰყო რუსეთის დელეგატების წინადადება დღიურ წესრიგში წითელ პროფინტერნის მშვიდობიანობის კონგრესზე არ დაშვების საკითხის დასმის შესახებ. აგრეთვე უარყოფილ იქნა რუსეთის დელეგატების წინადადებები ესლანდიის მთავრობისადმი პროტესტის გამოცხადების გამო რუსეთის დელეგაციის ნაწილისათვის ჰოლანდიის ტერიტორიით ჰააგაში ჩასვლის ნებადაურთველობის გამო ლოზანას და ლონდონის კონფერენციების საკითხების განხილვის შესახებ და რუსეთის დელეგატებისთვის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში თანამომხსენებლად გამოსვლის უფლების მინიჭების შესახებ. კონგრესმა უარყო რუსეთის დელეგაციის წინადადებები და ამით შექმნა ერთიანი ფრონტი. ბურჟუაზიულ ფაციფისტებთან. კონგრესის ბიურომ სოციალ-დემოკრატებს და ბურჟუაზიულ პაციფისტებს თანასწორი ადგილი მისცა კომისიებში. ქიოსი და ჰენდერსონის სიტყვები წარმოადგენენ ზღვა ფრაზეოლოგიურ ადგილებს. დამახასიათებელია, რომ ბურჟუაზიული გაზეთების კორესპონდენტები ირონიულად უყურებენ კონგრესს და აღნიშნავენ, რომ მის მუშაობის ახალი გეგმა. საერთო განწყობილება კონგრესზე მოდუნებულია.

ლონდონის თათბირის გამო

მოსკოვი, 15 დეკ. პრემიერთა თათბირზე მუსოლინიმ წარადგინა შემდეგი ულტიმატუმი: იმ შემთხვევაში, თუ კი ინგლისი დათანხმდა იტალიის ვალების ანულაციაზე, იტალია წინააღმდეგობას გაუწევს საფრანგეთს გერმანიის წინააღმდეგ მოქმედებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში იტალია მხარს დაუჭერს საფრანგეთს.

ოკუპაცია

მოსკოვი, 15 დეკ. საფრანგეთის ნაციონალისტები ფასდიეს მეთაურობით მოითხოვენ ბოხუმის და ესსენის ოკუპაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან, რომ პარლამენტის უმრავლესობა უნდობლობას გამოუცხადებს პუანკარეს —„იუმანიტე“ აფრთხილებს, რურის ოლქის ოკუპაცია გამოიწვევს გერმანიის მუშების ერთსულოვან ამბოხებას.

ახალი ამბები

— **ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე**, ლადო დუმბაძის საბჭოთა ყრილობაზე მოსკოვში გამგზავრების გამო, მისი დაბრუნებამდე აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება დაევალა ამხ. გიგო კიკნაძეს.

— **განათლების განყოფილების გამგის მოადგილე** ამხ. ჯაფარიძე, მოსკოვში მიემგზავრება, განათლების განყოფილების საქმეების მოსაგვარებლად.

— **ფილოსოფიური საზოგადოების** პრეზიდიუმი ამით აცხადებს თავის წევრების საყურადღებოდ, შაბათს დეკემბრის 16-ს ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) პროფ. დ. უზნაძე წაიკითხავს მოხსენებას: „იმპერსონალი წინადადებანი“.

— **ახალი ჟურნალი „ხურათ-კონა“** ბუნებიდან და ცხოვრებიდან. საჭიროა

ამხანაგი ასი მილიონი თანხით გამოსაცემად თვიური სახალხო და საყმაწვილო თვით-განვითარების სურათებიანი ჟურნალისა ქართულ ენაზე. ყოველი წერილი განმარტებული იქნება სურათით და სურათი წერილით, რომ მით ამ თავითვე ნამდვილი რეალი საფუძველი დაუდვათ ხალხისა და მოზარდი თაობის წესიერ აღზრდას და განვითარებას. თვისი ასეთი სახით ჟურნალი „სურათ-კონა" იქნება ჯერ კიდევ არც ერთ ენაზე არ ნახული ნამდვილი სამაგიდო გამოცემა. გამოცემის მომგებიანობა ეჭვს გარეშეა. შემოტანილი თანხა შემიძლიან უზრუნველვყო საკუთარი სახლის დაგირავებით. რამდენიმე ნომერი უკვე მზად არის ხელნაწერად და შემდეგებიც მზადდება. ვისაც რადმე გიღირთ სახელი და ხალხის მადლობა, მობრძანდით და ნახეთ: თუმანოვის შესახვევი 24, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი.

— **ფოსტა ტელეგრაფის თავისუფალი ხმარება სამმართველოს განყოფილების მიერ.** ქალაქის აღმასკომი შუამდგომლობას სძრავს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მიეცეს უფლება სამმართველოს განყოფილებას ფოსტა-ტელეგრაფით თავისუფალი ხმარებისა, სამსახურის საქმეების საზღვრებში.

— **დახმარება ეპიდემიურ ავადმყოფთ.** თანახმად ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა: რკინის გზებიდან გადმოცემულ ავადმყოფების, უფასოდ საექიმოდ მიიღებიან მხოლოდ ისეთები, რომელნიც ეპიდემიურ ხასიათის სენით იქნებიან შეპყრობილნი. არა ეპიდემიური ხასიათის ავადმყოფებს რესპუბლიკის რკინის-გზებისაგან უფასო საექიმო დახმარებას აღმასკომი ვერ იკისრებს და ასეთები მიღებული იქნებიან საექიმოთ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ანგარიშზე.

— ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა ქალაქის აღმასკომის სალაროში შემდეგი შემოწირულება: 8 დეკემბერს 1922 წ. მე-4 რაიკომის იაჩეიკის № 18 „ჩონტუ"-სგან 3.049 000 მან.

— სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ამით აცხადებს, რომ ა. წ. ქართველ მწერალთა კონფერენცია რომელიც უნდა შემდგარიყო დეკემბრის 29 გადადებულია.

კონფერენციის მოწვევის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.

— **საექიმო პერსონალის დანიშვნა.** განათლების განყოფილების ყველა დაწესებულებებში საექიმო პერსონალის მიღება-დათხოვნა სწარმოებს ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით. განათლების განყოფილებას საექიმო პერსონალის გადაყენების უფლება აქვს, სამსახურისადმი შეუფერებლობის შემთხვევაში, ჯანმრთელობის განყოფილების საშუალებით.

— **აბრეშუმის პარკის რეალიზაცია.** 1922 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკის ხელსაყრელ პირობებში გასანაღდებლად, საქართველოს მეაბრეშუმეობისთვის ხელის შეწყობის მიზნით, 1923 წლის სეზონისათვის აბრეშუმის თესლის შესაძენად და მის გასანაწილებლად მეაბრეშუმეთა შორის, აგრეთვე გლეხების კუთვნილ დივიდენდის დროზე დასარიგებლად სახალხო სასურსათო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო ამიერ-კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო საექსპორტო-საიმპორტო სავაჭრო კანტორასთან („ზაკგოსტორ") აბრეშუმის პარკის რეალიზაციის შესახებ საზღვარ-გარეთის ბაზარზე. ამ ხელშეკრულობის თანახმად სასურსათო კომისარიატი საექსპორტო საიმპორტო კანტორას აბარებს 5—6 ათას ფუთს აბრეშუმის პარკს თავის საწყობებში სამტრედიაში, ან ლანჩხუთში. აქედან 2,000 ფუთი პარკი კანტორას ეძლევა საკომისიოდ, ხოლო დანარჩენს კანტორა იძენს საკუთრებად. აბრეშუმის პარკის ფასი არ განისაზღვრება ხელშეკრულობის დადების დროს, იგი გამორკვეული იქნება იმის მიხედვით, თუ რა ფასებში მოხდება აბრეშუმის პარკის რეალიზაცია უცხოეთის ბაზარზე. აბრეშუმის პარკის რეალიზაცია უცხოეთში უნდა მოხდეს სახალხო სასურსათო კომისარიატის საგანგებო რწმუნებულის თანხმობით. რეალიზაცია კანტორამ უნდა დაასრულოს სამის თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მას ფაქტიურად ჩააბარებს სასურსათო კომისარიატი სარეალიზაციო აბრეშუმის პარკს. წინააღმდეგს შემთხვევაში სასურსათო კომისარიატს უფლება ეძლევა, თვითონ გაანაღდოს თავისი პარკი. იმის მიუხედავად, მოხდება თუ არა რეალიზაცია საკომისიოდ წაღებულ პარკისა, საექსპორტო-საიმპორტო კანტორა ვალდებულია, სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს მისცეს ფული აბრეშუმის თესლის შესაძენად. შეძენილი უნდა იქნეს 50—70 ათასი კოლოფი თესლი.

— **დივიდენდი მეაბრეშუმეებს.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა ნება დართო თავის რწმუნებულს აბრეშუმის პარკის ოპერაციებში, დროებით მოიწვიოს საგანგებო აგენტები გლეხ-მეაბრეშუმეთა კუთვნილ დივიდენდის სასწრაფოდ დასარიგებლად და საზღვარ-გარეთ გასაგზავნ აბრეშუმის პარკის ჩასაბარებლად.

— **კოოპერატივთა ჯილდო აბრეშუმის პარკის ოპერაციებში მონაწილეობისათვის.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა კოოპერატივებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აბრეშუმის პარკის შეგროვებაში, მატყლი დაურიგა ჯილდოდ. ამ ჯილდოს ანგარიშში კომისარიატმა მისცა: 1) ქუთაისის სარაიონო კავშირს და ხონის რაიონს—500 ფუთი მატყლი, 2) სამტრედიას—170 ფუთი, 3) აბაშას, სადაც შედის ბანძის რაიონი—80 ფუთი, 4) სენაკს—30 ფუთი, 5) ზუგდიდს და ხოფს—50 ფ., ამასთანავე იმ ორას ფუთ მატყლში, რომელიც წაღებული აქვს ზუგდიდის კავშირს თხილის დასამზადებლად, ასი ფუთი დაეთმო პარკის ოპერაციებში მონაწილეობის ჯილდოდ, ხოლო ასი ფუთი—ხელშეკრულობის განსახორციელებლად, 6) ოზურგეთს, სადაც შედის სუფსის და ნატანების კოოპერატივები—150 ფ., 7) ჩოხატაურის რაიონს—150 ფ., 8) საჯავახოს—75 ფ., 9) ლანჩხუთს—100 ფუთი, 10) ზესტაფონს—100 ფუთი, 11) ის ორასი ფუთი მატყლი რომელიც გადაგზავნილი იყო სახალხო ბანკის ფოთის განყოფილებაში, გადაეცა ადგილობრივ მუშკოპს თვენახევრის ვადით; ფასი უნდა განისაზღვროს ამა წლის დეკემბრის 2-ს ოქროს ღირებულებით, 12) ჭიათურის რაიონულ კავშირს საკოოპერაციო ბანკის თავდებობით დაეთმო ორასი ფუთი მატყლი თვენახევრის ვადით; ფასი უნდა განისაზღვროს ამა წლის დეკემბრის 2-ს ოქროს ღირებულებით.

— **საერთაშორისო დეპეშების მიმოსვლა.** ნება-დართულია საერთაშორისო დეპეშების გაცვლა გამოცვლა ყველა სავაჭრო წარმომადგენლებისათვის უცხოეთის სახელმწიფოების კერძო და სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო ფირმებთან. დეპეშებით დამოკიდებულება აღდგენილია შემდეგ ქვეყნებთან: იტალიასთან, ალბანეთთან, კილიკიასთან, რუმინეთთან, სამხრეთ-სლავიასთან და ოსმალეთთან. სპარსეთში გაგზავნა სწარმოებს მცირე შეზღუდვით.

— **ამანათების გაცვლა-გამოცვლა რუსეთთან** უკვე დაიწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და საბჭოთა რუსეთის შორის ამანათების და წერილების გაცვლა-გამოცვლა.

— **მარგანეცის გატანა.** ამ დღეებში ფოთში ელიან ორ გემს: „იუმილტონს" და „[illegible]", რომელთაგან პირველი ბულონში წავა, ხოლო მეორე კი ინგლისში. პირველმათგანს მიაქვს 5300 ტონი გარეცხილი მადანი და 500 პეროქსიდი. ამ ჟამად ნავთსადგურში არც ერთი გემი არ არის. ამ დღეებში გაემგზავრენ: „რუმელინი" ინგლისში, რომელმაც 4000 ტონი მადანი, „ფრინეი"—ბათომიდან 225 ტ. მადანით და „ტადლა" ბათომში 850 ტ. მარგანეცით.

— **ამანათების მაქსიმალური წონა.** დაწესებულია მაქსიმალური წონა იმ ამანათებზედ რომლებიც რუსეთში იგზავნებიან; ეს წონა ერთ ფუთს უდრის.

ბაზრის კრიზისი

ის, რასაც ამ დღეებში ადგილი აქვს ტფილისის ბაზარზე,—საქონლისა და ვალიუტის ფასების ზღაპრული აწევა მასთან დაკავშირებული პანიკა,—ეჭვს გარეშე იმ კრიზისთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მიზეზები უფრო ხელოვნური გზით არის გამოწვეული, ვიდრე ბუნებრივით. აქ არ არის არც სამრეწველო კრიზისი, რომელიც ხშირად აფორიაქებდა დიდ სამრეწველო სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებას, არ არის აქ არც საქონლის ნაკლებობისა და მოთხოვნილების გარდამეტებით გამოწვეული კრიზისიც; არ შეიძლება ამ კრიზისის ჩათვლა მათ რიცხვშიც, რომლებიც ბაზრის ავადმყოფური განწყობილების დასასრულის და მისი გაჯანსაღების აზრით და მიზნით არის გამოწვეული. დღევანდელი ბაზრის აფორიაქების მიზეზები იმ ხელოვნურ განწყობილებაში და ნაწილობრივ ბაზრის საერთო მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ,—რომელიც შეიქმნა როგორც ადგილობრივ, ისე მეზობელ ბაზრებზეც.

ტენდენცია ოქროს ვალიუტის გაძვირებისა ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე კვირის წინად ემჩნეოდა ბაზარს. სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებამ და ვალიუტის ინტენსიურმა მოთხოვნილებამ საბჭოთა რესპუბლიკებსა,—და განსაკუთრებით ეს ითქმის მოსკოვზე,—გამოიწვია ოქროს გაძვირება ქართული ბონებზეც, თვენახევრის განმავლობაში ეს ცვლილება იმ პროპორციის მიხედვით მოხდა, რომელსაც საერთოდ საბჭოთა ნიშნები განიცდიდენ ოქროს მიმართ.

ამავე დროს ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საბაჟო პოლიტიკა მასთან დაკავშირებულმა მოთხოვნილების ცვლილებამაც,—თავისი გავლენა იქონია ოქროს ვალიუტასა და ზოგიერთი საქონლის შემოტანაზე. ნოემბრის დამლევსა და დეკემბრის პირველ რიცხვებში არც სტამბოლის ბაზარზე იყო ნორმალური განწყობილება. იგი შექმნილი იყო ხელოვნურათ იმ ელემენტების მიერ, რომელთაც მდგომარეობის თავის სასარგებლოდ. გამოყენება სურდათ. სტამბოლის კრიზისი ბუნებრივად გადმოეცა ჩვენს ბაზარსაც.

ამას ზედ ერთვის განზრახული რეფორმა საერთო ფული ნიშნების შემოღებისა ამიერ-კავკასიაში, რომელმაც საზოგადოების ფართო წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ერთი მხრით საქონლის მოთხოვნილება გაზარდა და ბონების ვალიუტის შეცვლისაკენ მიმართა, ხოლო მეორე მხრით სპეკულიანტებს საბაბი მისცა პანიკა შეექმნათ ბაზარზე. საერთო განწყობილებაზე ნაწილობრივ გავლენა იქო-

ეროვნული საკითხი ანატოლიაში

1.

სომხეთა და ბერძენთა საკითხი

სწორედ ერთი წლის წინად ქალაქ კერასუნტში დაიბეჭდა ერთი წიგნი, რომლის სათაურიც იყო შემდეგი „თურქები თუ ლაზები მოსახლეობენ ტრაპიზონის ვილაეთში?"

აღნიშნულ ბროშურის ავტორი,—როგორც გადმოგვცემს მოქ. ინალ ბუთაევი (იხ. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის ორგანო „Жизнь национальностей" № 26(124), 19,XI,21 წ.)—სტირის ოტომანების იმპერიის დაშლას და შესავალში სწერს:

„სახელმწიფოები, შექმნილი ერების გაერთიანებით, რომელნიც განსხვავდებიან ენით, სარწმუნოებით და ზნე ჩვეულებით,—ადრე თუ გვიან ირღვევა, ნაწილ-ნაწილ იშლება. (მაგალითად, ოტომანთა იმპერია, ავსტრია და სხ.)

იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ეს ძალა, საჭიროა მათი შეკავშირება და ერთფეროვნად შედუღება; ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ისინი ერთი მეორეს ჰგავდნენ".

ასეთია მოსაზრებანი ზემოთ აღნიშნულ ბროშურის ავტორის, რომელიც შენატრის იმ დროს, როდესაც მის წინაპრებმა თავის ქვეყნის ასაღორძინებლად ისლამიზმი და თურქიზმი [illegible] შემდეგ ანდაზის თუ თქმულების მიხედვით: „იმას, ვინც არ იცის თურქული ენა, არ ეშინია ღვთისა". მაგრამ დღეს დღეობით აღნიშნული მცნებით შეუძლებელია ხალხების გაერთიანება და იმისათვის მიმართავს მხოლოდ თურქიზმს. იმავე ბროშურაში არის შემდეგი ადგილი:

„დღეს დღეობითაც სტამბოლში სოლონიკის ოლქიდან ჩამოსულ თურქებს ეძახიან—„ალბანელებს", არზრუმის ოლქიდან, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა თურქებია, ეძახიან—„ქურთებს", ტრაპიზონის ოლქის ზღვის პირა მიდამოებიდან, სადაც ძლიერ მცირე გამონაკლისით სულ თურქებია—ეძახიან „ლაზებს", ალეპოს ოლქიდან, სადაც მოსახლეობის ნახევარი თურქებია, ეძახიან — „არაბებს".

ზემოთ აღნიშნულ ამონაწერიდან ნათლად და ცხადად სჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ამის ცნობა სრულიად არ სწადია ბროშურის ავტორს, მაგრამ ის იძულებულია დასთანხმდეს, რომ ოსმალეთში გარდა თურქებისა სცხოვრობენ ქურთები, ლაზები ანუ ჭანები, არაბები, ბერძნები, სომხები, კავკასიიდან გადასახლებული მთიელები—ჩერქეზები და სხვა.

ოსმალეთში, სახელდობრ ანატოლიაში, არსებულ პირობების მიხედვით, რომ იქ მრავალი წვრილი ერები მოსახლეობენ, ცხადია ეროვნულ საკითხს და მის გარკვევას თანდათან მწვავე ხასიათი ეძლევა და მის სასწრაფოთ გადაჭრას მოითხოვს თანამედროვე პირობები, თანამედროვე ეროვნული მოძრაობა თვით თურქთა შორის, რომელნიც თავის ერის, თურქთა ერის განთავისუფლების იდეით და ლოზუნგებით აწარმოებენ დიდ ეროვნულ ბრძოლას და სწორედ ამ ბრძოლის დამთავრების სახელით საზიარო წინააღმდეგობით ებრძვიან იმ მცირე ერთა ეროვნულ მოძრაობას, რომელიც მოითხოვს წვრილ ერების თანასწორობის, წვრილ ერების განთავისუფლებას თვით ანატოლიის მიდამოებში.

თუ მივიღებთ მხედველობაში ანატოლიის მოსახლეობის რიცხვი, რომელიც 1892 წლის აღწერით 7,750,000 სულით გამოიხატება, ამ რიცხვში ერთი მეოთხედს შეადგენს ქრისტიან მოსახლეობას ერთი მეოთხედი არის მუსულმანური ის წვრილი ერები, რომელნიც მოითხოვენ სათანადო უფლებებს. თუ მივიღებთ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მხედველობაში, ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ რა სიმწვავე უდგას ეროვნულ საკითხს ანატოლიაში.

ამ ეროვნულ საკითხების გაურკვევლობას გამო ჯერ კიდევ ძველ ოტომანთა იმპერიას ჩამოშორდნენ არაბები და სხვა ხალხები, რომელიც ალექსანდრეტა—მოსულის ხაზის სამხრეთით ცხოვრობენ და მათი დამოუკიდებლობა, სახელდობრ არაბეთის და მესოპოტამიის იცნო ანატოლიის თანამედროვე ხელისუფლებამ, მაგრამ მიუხედავად ამისა კიდევ არიან ისეთნი, რომელნიც დღესაც, რაც ზემოაღნიშნულ ბროშურიდანაც სჩანს, მიუთითებენ იმ მცნებას, რომელიც ამბობს: „იმას, ვინც არ იცის თურქული ენა, არ ეშინია ღვთისა". გადავავლოთ მოკლედ თვალი აღნიშნულ წვრილ ერთა მდგომარეობას და შევეხოთ მათ ეროვნული საკითხის მხრივ.

სომხეთა საკითხი. ეს საკითხი ოდესღაც იდგა საერთაშორისო ზომსადარით, მაგრამ დღეს სომეხთა საკითხი ანატოლიაში თავის თავად მოხსნილია, ის აღარ ისმება ოსმალეთში და არც დაისმება მიუხედავად იმ [illegible], რომელიც ნაციათა ლიგამ ვილსონის დახმარებით გადასწყვიტა და ამის მიხედვით შეუერთა [illegible] სომხეთს ექვსი ვილაეთი ოსმალეთისა. ეს საკითხი მოხსნილია იმის გამო, რომ თვით ოსმალეთის სამხრეთში სომეხთა მოსახლეობა აღარ არსებობს. ის ვინც იცნობს ოსმალეთის სომხეთს, ის ვინც ყოფილა ოსმალეთის სომხეთის ნანგრევებზე, ვისაც უმოგზაურია 1916—1918 წლებში დაწყებული სარიყამიშიდან ვიდრე ერზინჯანამდე იმისთვის ნათელია ზემოაღნიშნული სურათი. ოსმალეთის სომხეთი განადგურებულია, განადგურებულია იმ მხრით, რომ იქ ქვა ქვაზედ აღარ არის და რამოდენიმე ასეული ვერსის მანძილზე ერთ ასულ სომეხსაც ძნელად იპოვი, [illegible] სინამდვილე, ასეთია შედეგი იმ განადგურებისა და იმ საშინელ ომისა, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში სისხლით რწყავდა ოსმალეთის სომხეთის ველ-მინდვრებს, აპირტყვებდა სომხის მშრომელ ხალხის ნაშრომ-ნაამაგარს.

აუწერელია ის სურათი, რომელსაც წარმოადგენს ოსმალეთის სომხეთი. ჩვენ წერილის მიზანს არ შეადგენს ამ მხრივ განვიხილოთ საკითხი, თუმცა ისტორიისათვის ის შავ-ბნელი ფურცლები სომხეთის მშრომელ ხალხის ისტორიაში აღნიშნული იქნება სათანადოთ და ჩვენც ვეცდებით როგორმე ცალკე მოგონებით აღვნიშნოთ ყოველივე, რის მოწმეც გავხდი ზემოთ აღნიშნულ წლების განმავლობაში, ახლა კი გადავავლოთ პირდაპირ საკითხზე.

სომეხთა საკითხი ოსმალეთში ძლიერ მწვავედ იდგა, მისი სათანადოდ გადაწყვეტა ემუქრებოდა ოსმალეთს ანატოლიის აღმოსავლეთ ვილაიეტების ჩამოშორებით, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოსმალეთის სომხეთის მცხოვრებლების საერთო რიცხვიდან, რომელიც 3 ნახ. მილიონს უდრიდა, სომეხთა მოსახლეობა ერთ მილიონს აღემატებოდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში ის სისხლის ღვრა, რომელიც უმთავრესად გამოწვეული იყო დაშნაკთა მუშაობით ოსმალეთში, როდესაც ამოხოცილ-ამოჟლეტილი იყო [illegible] სომეხი, თუ კი ამას თან დავურთავთ იმის დროსაც ამოხოცილ ხალხს, რომლის დარჩენილი ნაწილიც 1917 წლის დამლევს გაწყდა ყინვისაგან რუსების ჯარების უკან დახევის დროს, რასაკვირველია ყოველივე ეს თუ მიღებულ იქნა მხედველობაში, ცხადი იქნება ყველასათვის, რომ სომეხთა საკითხი დღეს-დღეობით სწორედ ამის გამო მოხსნილია და აღარ არსებობს.

რაც შეეხება ბერძენთა საკითხს და ბერძენთა მოძრაობას ანატოლიაში, რომ მივიღოთ მხედველობაში ყველა ის პირობები, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ მოძრაობასთან, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა ბურჟუაზიულ მოძრაობასთან, რომელიც გამოყენებულია დღეს დღეობით ანტანტის მხრივ, როგორც ანტირევოლუციონური ძალა თავის უფლებების განსამტკიცებლად ახლო აღმოსავლეთში.

ანატოლიაში ბერძნები უმთავრესად მოსახლეობენ ზღვისპირა ნაწილებში და მათი რიცხვი ერთ მილიონამდის უდრის. უმთავრესად ეწევიან ვაჭრობას და ეს ვაჭართა კლასი გულში ატარებდა მაინც ოსმალეთის გავლენიდან განთავისუფლებას და დამოუკიდებელ ბერძენთა რესპუბლიკის დამყარებას. ამ აზრთან დაკავშირებული იყვნენ ბერძნები ისტორიით, რომ შავი ზღვის ანატოლიის ნაპირებზე იყო მათი სამფლობელო „პონტოსი", რის გამოც აღნიშნული ბერძენთ მოძრაობა ანატოლიაში პონტოისტურ მოძრაობად იწოდება, მხოლოდ ამ მოძრაობის მიმდევრები პონტოისტებათ.

ანატოლიის მთავრობის მიერ მიღებული ზომები ბერძნების წინააღმდეგ, პონტოისტების წინააღმდეგ, გადატანილი იყო ხოლმე ხშირად ბერძენთა მოსახლეობის სოფლის მასსებზე და ეს რეპრესიები ძლიერდებოდა იმისდა მიხედვით თუ როგორი იყო მდგომარეობა ბრძოლის ველზე—იგულისხმება ბერძენთა—ქემალისტების ომი და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კი აღმოჩენილი იქნებოდა რომელიმე პონტოისტური ორგანიზაცია.

მოქ. ინალ ბუთაევი ასე აგვიწერს მდგომარეობას: „ასე მაგალითად, როდესაც ბერძნების გამარჯვების ცნობები მოდიოდა, ბერძენთ მოსახლეობას აწვებოდა... დაიწყო მასიური გადასახლება ბერძნების 15—55 წლის ასაკში ანატოლიის შიდა ნაწილებში. მრავალი გაიქცა ტყეში და მთებში და შეადგენდა ბანდებს, რომლის წინააღმდეგ საჭირო შეიქმნა შეიარაღებულ ძალების გაგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია ახალი ფულის ნიშნების გამოშვებამაც.

ამრიგად, ვალიუტის კურსისა და მოთხოვნილების ზრდის ტენდენციამ უკანასკნელ დღეებში არაჩვეულებრივი ტემპი მიიღო. ბაზარზე აურებელი წვრილ და მსხვილ ფეხა სპეკულიანტები დატრიალდენ მდგომარეობით სარგებლობისთვის როგორც ადგილობრივ საქონლებსა და პროდუქტებზე, ისე იმპორტისაზე ფასების ცვლა არა თუ დღეობით, არამედ საათობით დაიწყო ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დარღვევამ შეაჩერა როგორც რაიმე მსხვილ ხელშეკრულებათა დადება და შესრულება, ისე წვრილმანი ვაჭრობა არა მარტო ვალიუტის კურსზე დამოკიდებულ საიმპორტო საქონლისა, არამედ ადგილობრივებზეც.

საზოგადოებრივ და კოოპერატიული სავაჭრო დაწესებულებები სავსებით დაემორჩილნენ ბაზრის კანონს; ნაწილობრივ აქ ვაჭრობა შეწყდა, ხოლო ნაწილობრივ ბაზრის კურსთან შეთანასწორება მოხდა.

ასეთი არის დღევანდელი ვითარება და ის მიზეზებიც, რომლებმაც საგრძნობლად შეუწყვეს ხელი კრიზისის გაღვივებასა და ზრდას. არსებული მდგომარეობის გაგრძელება აუტანელი იქნება არა მარტო მომხმარებლისა და სავაჭრო წრეებისათვის, არამედ მთელ სახელმწიფოებრივ საფინანსო და სავაჭრო-სამრეწველო აპარატისათვის. იმ ხელოვნური მდგომარეობის გასაქარწყლებლად, რომელიც შეიქმნა არსებული კრიზისით და რომელშიც დიდი როლი უთუოდ ჩვენს სპეკულიატურ საკომერციო წრეებსაც მიუძღვისთ გამონახულ უნდა იქნას რადიკალური საშუალებანი. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის წინადადება პურის ფქვილზე, რომელიც ბოლოს მოუღებს იმ მდგომარეობას, რომლითაც ტფილისის სასურსათო საწყობები პურის ფქვილითაა ავსილი და ფურნეებთან უკვე „კუდებს“ ვამჩნევთ... მაგრამ ეს კიდევ საკმაო არ არის; აუცილებელია ქართული ბონების მიმართების მტკიცე განსაზღვრა, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების არსებულ ფულის ნიშნებთან, ისე იმ საერთო ფულის ნიშნისადმი, რომლის გამოშვებაც არის განზრახული...

გ—ი.

ყველა რეპრესიები გამოწვეული იყო შიშით რომ იფეთქებს ზღვის პირას ბერძენთა აჯანყება, მით უმეტეს რომ ანატოლიის ნავთსაყუდლის მიდამოებში გამოჩნდა ბლოკადისათვის ბერძენთა სამხედრო გემები „კილიკისი“ და „ავეროვი“.

სახელმწიფოს შუაგულში გადასახლებულ ბერძნებიდან განზრახული იყო სამუშაო და გზების ბათალიონების შექმნა. საერთოდ, ჯარში გაწვეულ ბერძნებს იარაღს არ აძლევდენ იმ შიშით, რომ შეიარაღებული არ ყოფილიყო იმათ წინააღმდეგ, ვინც მას აიარაღებდა.

მიუხედავად გადასახლების სიმკაცრისა, ბერძენი ეკლესიები და მათი მსახურნი ხელშეუხებელნი დარჩნენ, რაც უარყოფს იმ ცნობებს, ვითომც სარწმუნოებრივ მხარეს ოსმალნი სდევნიდენ“. (იხ. Национальный вопрос в Анатолии“. газ. „Жизнь национальностей № 26 (124), 19, XI ს.ს.)

ასეთია მოკლეთ ეს ცნობები, რომელსაც გადმოგვცემს მისი მნახველი. ცხადია აქ ომის საშინელებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბერძენთა საკითხიც ოსმალთა შინაგან ცხოვრების ორგანიულ საკითხებათ არ ითვლება ოსმალთა მიერ და როგორც ამბობს იგივე ინალ მუთაევი ბერძენთა საკითხიც, როგორც სომხების საკითხი „სწყდება ნების მიერ, წამ და უწუმ ავად და ეპიდემიით, რასაც მოწმობენ ფაქტები“.

მაშასადამე დაგვრჩა ეროვნულ საკითხის მეორე მხარე, რომელიც ეხება თურქების ერთმორწმუნე წვრილ ერებს, მაგრამ ამ შემთხვევაში დღესდღეობით მისი გადაჭრა არ მიაჩნიათ საჭიროდ მით უმეტეს რომ ისინი აწარმოებენ ბრძოლას თავის ეროვნულ განთავისუფლებისათვის. მხოლოდ ცხოვრება და სინამდვილე სულ სხვას ღაღადებს, ამას მოწმობს ეს ძლიერი მოძრაობანი ქურთებს შორის, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ხახა ახლანიშვილი.

ვენახების აღდგენისათვის

8 დეკემბერს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიწად-მოქმედების განყოფილებაში შესდგა კახეთის ვენახების აღდგენისათვის დაარსებულ კომისიის თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი სახელმწიფო ფონდის თავისუფალ მიწებზე ამერიკული ვაზის ნერგების გაშენებისა და მევენახეობისათვის პრაქტიკულ სკოლების მოწყობის შესახებ. კომისიამ მიზანშეწონილად აღიარა ამ მიზნით კერძო პირთათვის და ამ საქმის მცოდნეთათვის იმ თავისუფალ მიწების დიდი ხნის ვადით გადაცემა, რომელიც მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს მოეპოება. ამ მიზნისათვის, მიწით სარგებლობის ვადას განსაზღვრავს თვით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

მუშაობის სამეურნეო გეგმას ადგენენ მთხოვნელები და ამტკიცებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალ-ყურის დევნება მისი შესრულებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ 9 თვის განმავლობაში არ შეუდგებიან მუშაობას, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი მიწების ჩამორთმევის გარდა ახდენს კიდევ ანაზღაურებას ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ რაოდენობით.

სკოლების გახსნა თათბირს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია და განზრახული აქვს გახსნას პირველად კონდოლში და მუკუზანში, ხოლო შემდეგ კარდანახში და ყვარელში. ხარჯთ-აღრიცხვა მუკუზანის სკოლის მოწყობისათვის 7050 მან. (ოქროთი) რაოდენობით დამტკიცებულია, ხოლო კონდოლის სკოლისათვის ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგში იქნება შემუშავებული.

„კომუნ.“

ტყის გაშენების საქმე მუხრანში

მუხრანიდან დაბრუნდა მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილების კონსულტანტი პროფესორი ქურდიანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ტყის გაშენების საქმე მუხრანის ხრიოკ ფერდობებზე, პრ. ქურდიანის აზრით ტყე უნდა გაშენდეს პირველ რიგში ლამისყანაში დაახლოვებით 10 დესეტინამდე, ვენახების ზევითა კიდეებიდან დაწყებული უმაღლეს ხევების და სერების მიმართულებით, რომ ამით ხევების გამაგრებას და ვენახის დაცვას ნიაღვრისაგან ჩაეყაროს მტკიცე საფუძველი, რისთვისაც ეხლავე დარგულ უნდა იქნას აკაცია, თუთა და ტირიფის შტოები, შემდეგ შერეულით აკაცია, მუხა და ფიჭვი. ასეთივე მუშაობა აგრეთვე გატარებულ უნდა იქნას მომიჯნავე სერებზე და ხევებზე, რომლისზედაც ნიადაგის სინესტის მიხედვით დაითესება შესაფერი ჯიშის ხეები: მუხა, აკაკი, ფიჭვი, აკაცია და თრიმლი შერეულით. აგრეთვე ტყე უნდა გაშენდეს 300 დესეტინის სივრცეზე, მეორე რიგში, რაც უნდა მოხდეს 10 წლის განმავლობაში, მოსაშენებელი ადგილები მიზნადებული უნდა იქნას წინასწარ, გლეხებზე სახნავათ იჯარით გაცემის საშუალებით და შემდეგ მოხდეს ტყის გაშენება. ნაკვეთი აგრეთვე ადგ. ლამპალოში გაშენდეს სხვა და სხვა ჯიშის ხეების ბაღები, რომლის არსებობა აუცილებელია, როგორც რაიონის სატყეო კულტურის მიზნებისათვის, ისე რესპუბლიკის უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლისათვის. ადგილ-წლევის შესახებ უნდა გამოირკვეს ტყის შიგნით მდებარე თავისუფალი ადგილები და მასზედ გაშენებული იქნეს ტყე და დათესის დაახლოვებით 5 დესეტინა ადგილობრივ გავრცელებული ჯიშები: მუხა, რცხილა, თელა, ფიჭვი, სოჭი და ნაძვი. ზემო აღნიშნულ ტყეების საუკეთესოდ დარგვისათვის დანიშნულ იქნას მამულის მმართველობის სათანადო შეჰდის დასმით ის ხეები, რომლებიც დღემდე მოჭრილია და ამ სახით სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ ჩაბარდეს ტყის მცველებს, რომელთა რიცხვი ზამთარში უნდა გამრავლდეს. ეს მოხსენება მუხრანის სახ. მამულის მმართველობას გადაეცა სახელმძღვანელოთ, რომლის განხორციელებას უკვე შეუდგა.

„კომუნ.“

ცოტა რამ ჩვენი სტუდენტობის შესახებ.

დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა სხვა და სხვა მიზეზების გამო საშინელი პირობები შექმნა მის მსმენელთათვის. იშვიათია სტუდენტი, რომ ის არ მსახურობდეს. მთელი დღის სამუშაოს ნაწილი დაწესებულებაში მიდის. საქმე მიზის ის, თუ აგრონომიულზე, ან ისტორიულზე სულ ერთია ზის ფერმიმკრთალი, დაღონებული რომელიმე კანცელარიაში და იწერს ქაღალდებს. საღამოს კი უხალისოდ, ენერგია გამოლეული შეუდგება წყნეთის ქუჩას. ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია მის მიერ „კუს ნაბიჯი“-თ სიარული მეცნიერების შესწავლაში, ინიციატივის და აქტივობის დაკარგვა ყოველგვარ კულტურულ საქმეში. დღევანდელ მის „დამარცხებას“ ულაჯობას ვერ სრულებით არ ვამართლებ—დამნაშავე ისიც არის, მაგრამ მხედველობაში ეს ობიექტიური პირობებიც არის მისაღები. ყოველ დღე 6—8 საათით სამუშაოთ კანცელარიაში შრომა და „ჩინოვნიკური“ ცხოვრება ორნაირად ვნებს ახალგაზრდა მეცნიერებს და მეცნიერების შესწავლით მოწყურებულ ახალგაზრდას.

დანაშავე, როგორც ვსთქვით, ისიც არის. ის, მის განკარგულებაში დარჩენილ დროსაც ვერ იყენებს მიზან-შეწონილად. ის ვერ შეეჩვია სისტემატიურ და განუწყვეტელ შრომას, გონების ძალების დაჭიმვას და ერთ რომელიმე მეცნიერების დარგისაკენ მიმართავს, მის საფუძვლიანად შესასწავლად. ეს აკლია მას; ის მრავალ საქმეს ეტანება და ვერც ერთს საფუძვლიანად ვერ ითვისებს, რაც უპირველესი მიზანია ყოველი უმაღლესი სასწავლებლისა.

რუსეთში მიმავალ ჩვენ სტუდენტობაში იშვიათად იყო გადაჭარბებული ლტოლვა ერთ რომელიმე დარგისაკენ. მე 8 კლასის მოსწავლეს უკვე არჩეული ქონდა თუ რომელი დარგი შეეფერებოდა მის ნიჭს, მიდრეკილებას. ომის დროს კი ყოველი (დარგიდან) ფაკულტეტიდან დაიწყეს ჯარის კაცების გაყვანა, გარდა სამედიცინოსა, რის გამო ომში წასვლის თავიდან ასაცილებლად ყოველი სტუდენტი სცდილობდა სამედიცინოზე შესვლას ნებით, თუ იძულებით.

დღეს კი ასეთი „პრივილეგია“ არა არის ზოგს ფაკულტეტებს შორის. და ერთგვარი ინერციის ძალით თუ სხვა მიზზით უმრავლესობა ცდილობს ამ დარგზე შესვლას. გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვსთქვათ 70 პროც. ახალგაზრდობის, რომელთაც აქვთ გათავებული საშუალო სასწავლებელი სურთ ამ დარგზე შესვლა.

ამა ვინ რას იტყვის—ხალხის გაჯანსაღებისათვის. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ მომავალ ცხოვრებაში ასე ათეულ წლების შემდეგ ჩვენში 100 კაცზე 2—4 ექიმი მოვიდეს და 200 ერთის ინჟინერისაც აგრონომისაც, ისტორიკოსისაც ენათ მეცნიერულ და სხვა კი გაუჭირდეს მოწევა არც ეს ვარგა. მსწავლელთა შორისაც ერთგვარი პროპორცია საჭიროა ამიტომ ყოველი სტუდენტი, რომელიც ფიქრობს სამედიცინოზე შესვლას უნდა მოიფიქროს, მოახდინოს ერთგვარი დაკვირვება თავის თავზე მას მართლა აქვს მიდრეკილება ამ დარგისაკენ (ის პროფესია, რომელიც შენს ნიჭს, შრომის უნარს, მიდრეკილებას არ შეეფერება ცხოვრებაში უკან დაგწევს, ჩამოგარჩენს, დაგჩაგრავს), თუ ისე ინერციის ძალით, ყმაწვილური გატაცებით, ან სხვის წაბაძვით, ჩაგონებით სჩადის, ექიმობა კარგია, მაგრამ რითია ცუდი, მაგალითად, ისტორიკოსობა, საქართველოს ისტორია—ეს ხომ ჯერ დაუმუშავებელი მასალაა. სირცხვილი არ არის წარსულის შესწავლაში ჩვენმა თაობამ მონაწილეობა არ მიიღოს?

ან ენათ მეცნიერება (ამ დარგზე ერთეულებია), ან ინჟინრობა, საქართველოს სიმდიდრენი ეს ხომ ხელუხლებელი განძია?

***

დიდი ხანია პრესაში ყურადღება მისტუდენტობის ლურჯ ქუდს და არწივიან ფოლაქებს (ოი, სირცხვილი). უკვე აღნიშნა, რისთვის შემოიღო ის რუსეთის მეფის მთავრობამ სხვა და სხვა დაწესებულების ფორმასთან ერთად.

ცარიზმი დაემხო, ჩინოვნიკებმა ნებით თუ უნებურად მოიშორეს კოკარდა, ვარსკვლავები და „პოგონები“, სტუდენტობა კი ასე ადვილად ვერ იშორებს საკვირველია, ღმერთმანი, ის არ არის არც ეროვნული. არც დემოკრატიული და არც პროლეტარული, მაშ რა არის მიზეზი, რომ ეს ხალხი ასე ჩაკიდებიან მას და არ იშორებენ. ჩვენის აზრით აი ერთი მიზეზთაგანი ამისა. წარსულ წლებში შვილის გიმნაზიაში, ან რეალურ სასწავლებელში გამიზრდა, შემდეგ უნივერსიტეტში, ან მათ ენაზე რომ ვსთქვათ, „გაზნაჩოკები“ მხოლოთ შეძლებულ კლასის და დიდ მოხელეებს შეეძლოთ. და რა უპირატესობა ქონდათ დიპლომიანებს ცხოვრებაში, როგორ აფასებდა მთავრობა მის ერთგულ კლასის და მოხელეების შვილებს ეს ყველამ იცის.

ხალხის შვილებს, ხალხურად მოაზროვნე და თავდადებულ ხალხისათვის რომ უმაღლესი განათლება იშვიათი მოვლენა იყო.

ამიტომ, რომელსაც შეხვდებოდენ ლურჯ ქუდებიანებს ერთგვარი პატივისცემა აღიძვრდა მათ მიმართ ჩვენს მაშინდელ საზოგადოებაში, როგორც მომავალ „კარგ სწავლულ და დიდ ჩინოვნიკის“ მიმართ. მაშინ ხომ ფორმა იყო საჭირო და დიპლომი მის შინაარს, გონების ავლადიდებას ვინ აქცევდა ყურადღებას ვინ აქცევდა ყურადღებას?

ეხლა დრომ კარგა ხანია განვლო. გიმნაზია უკვე აღარ არის [illegible] [illegible] განსაზღვრულ კლასისა. [illegible] შექმნა ყველასათვის. [illegible] [illegible] ხსნა სალომიოზის კურსები, საიდანაც აურაცხელი სტუდენტები გამოვიდა. მათმა რიცხვი ერთი ხუთად და მეტად გაიზარდა, ფორმა კი მაინც შერჩა. (სახეში წყვეს უპირატესი ნაწილი, უმცირესობამ კარგა ხანია მოიშორა).

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს სტუდენტობის გამგეობამ გამოუშვას შესაფერი მოწოდება, აუხსნას ამხ. რომ ჩვენს დროში საზოგადოება არა ფორმას სცემს პატივს და აძლევს ღირსებას, არამედ მის შრომის უნარს და მუყაითობას. მხოლოდ ხალხისათვის თავდადებული მუშაკნი დაიმსახურებენ პატივისცემას. სიყვარულს და არა მარტო ლურჯ ქუდის და არწივიან ფოლაქების ტარებისათვის.

კოწია ნემსაძე.

სახელმწიფო დახმარება

სახელმწიფო დახმარების ხასიათი. რესპუბლიკის საერთო მაშტაბით სახ. დახმარება უმეტესწილად გამოიხატება მხოლოდ პენსიის და შემწეობის გაცემაში, ტფილისში ამას ემატება ერთდროული დახმარება ფულის სახით და ამერიკული ტანსაცმლის დარიგება. პენსია ეძლევა შრომის ინვალიდებს, მათ ქვრივებს და გამონაკლისის სახით დანიშნული აქვს პენსია 4 წითელ ინვალიდს. პენსიონერთა რიცხვი უდრის 221 კაცს: ტფილისში—198 კ. და პროვინციაში—23 კ. მარტოხელა პენსიონერი ღებულობს თვეში 350 ათას მ. და ოჯახის მქონე—500 ათ. მ. ერთი წითელი ინვალიდი იღებს გაძლიერებულ პენსიას—1 მილ. თვეში. ყველა პენსიონერებისათვის იხარჯება თვეში 92.700 ათასი მანეთი.

შემწეობა გამოიხატება უმთავრესად ბინის ქირაში, მერე—სანიტარულ გადასახადისაგან განთავისუფლებაში და ბავშვების სწავლა-აღზრდაში. ტფილისში საბინაო და სანიტარული შეღავათი მიეცა 30 კ. შეღავათით სარგებლობს ქალაქში ერთად 1125 კაცი.

ერთდროული დახმარება გაეწია 35 კ., დაიხარჯა 7.650 ათ. მ. ამ თანხიდან 5 კაცს მიეცა 2.500 ათ. მ. დასამარხავად, 13 კაცს—2.850 ათ. მ. სამგზავროდ და 17 კ.—2.300 ათ. მ. საერთო საჭიროების შემთხვევებისათვის, დახმარება ეძლეოდა მხოლოდ ინვალიდებს და კერძო შემთხვევაში—უმუშევრებს.

ტანსაცმლის გაცემა ხდება შერეულ კომისიის საშუალებით. ნოემბერში მიეცა უფასოდ ტანსაცმელი 58 კაცს, 17 მილ. დარიგებული შემცირებული ფასით—98 კ., 24 მილ. რაოდენობის. სულ გაცემულია 156 კ. 41.450 მილ. მანეთის ტანსაცმელი. მათში იყო: 18 კაცი სტიქიურ უბედურებით დატანჯული, 41 ინვალიდი, 55 უმუშევარი და 47 დაბალი ხარისხის მოსამსახურე.

საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარება. სახ. დახმარების განყოფილების მიერ დაარსებულ იქნა თვითშრომის პირთა კავშირები ქუთაისსა და ტფილისში. ორივე ორგანიზაციას აქვს მიზნად ურთიერთ დახმარების საქმის წარმოება მოხელეებს და ინტელიგენტურ პროფესიის მქონე პირთა შორის, რომელნიც არ ეწევიან დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციას. ტფილისის კავშირში 2500 წევრი, ქუთაისის—414.

პერსპექტივები. სახ. დახმარების დარგში შენიშნულია საპენსიო დახმარების საქმის გაუმჯობესება, სახელმწიფოსაგან 1000 კ. პენსიონერებისათვის საშუალებების მიღებით, ხოლო საზოგადოებრივ ურთიერთ დახმარების სფეროში—თვითშრომის ორგანიზაციის და ურთიერთ დახმარების საქმის წარმატება საერთო რესპუბლიკის მასშტაბში.

ცოტა რამ აფხაზთა სახლის შესახებ

ტფილისში არსებობს აფხაზთა სახლი, რომელშიც იზრდებიან როგორც აფხაზთა, ისე ქართველთა ბავშვები. ეს სახლი ზაფხულში სხვა ბავშვთა სახლებთან ერთად დაბანაკებული და მოთავსებული იყო ბავშვთა ქალაქ კოჯორში.

კოჯორში ყოფნის დროს აფხაზთა ბავშვთა სახლს ეჭირა სათანადო ბინა, მოწყობილიც კარგად იყო, მასთანვე თუ მივიღებთ მხედველობაში აღნიშნულ სახლის ხელმძღვანელის და თანამშრომელთა შესაფერისი დაუღალავი მუშაობა, რასაკვირველია ყოველივე ამან ის შედეგები მოიტანა, რომ ტფილისში ჩამოსვლისას აფხაზთა ბავშვები სამაგალითოდ გამოიყურებოდნენ. დღეს კი, როდესაც აღნიშნული სახლი მოთავსებულია ისეთ ბინაზე, ქალაქ გარედ, დიდუბის განაპირას, ნესტიან სახლში, სრულიადაც გასაკვირველი არ არის როდესაც აღნიშნულ სახლში მიუხედავად ყოველივე მიღებულ ზომებისა შესვლისთანავე თვალწინ წარმოგიდგებათ არა ბავშვთა სახლი შედარებით სხვა სახლებთან, არამედ ბავშვთა საავადმყოფო.

აღსანიშნავია ერთი რამ, მიუხედავად იმ დადგენილებებისა, რომელიც ამ აფხაზთა სახლის შესახებ მიიღო როგორც ალმასკომმა, აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭომ, მიუხედავად ყოველივე ამისა, აღნიშნულ სახლისათვის სათანადო ბინა დღემდის არ გადაუციათ. თუმცა ასეთი ბინები პეტრედიდის ქუჩაზე და ფრეილინის ქუჩაზე უკვე დანიშნული იყო აფხაზთა სახლისათვის.

საწუხაროა აღნიშნული მოვლენა, იმისათვის, რომ სათანადო განკარგულებას, რომელიც იყო ზემოთ-აღნიშნულ დაწესებულებებიდან, არავინ ყურადღებას არ აქცევს და არც სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება და არც ალმასკომის დადგენილება არ იქნა სისრულეში მოყვანილი, პირიქით ზოგიერთ შემთხვევაში აფხაზთა სახლის თანამშრომელნი შეურაცყოფილნიც კი დარჩენ.

დრო არის მივხედოთ აფხაზთა ბავშვების მდგომარეობას, დროა მივხედოთ. რომ ბავშვები, რომელთაც ესაჭიროებათ კარგი ბინა, სავსებით არ დაავადმყოფდენ და საჩქაროთ გადმოყვანილი იქმნენ ქალაქში თანახმად მთავრობისა და ალმასკომის დადგენილებისა

აფხაზთა მეგობარი.

ხელოვნება

სახალხო სახლი „გაცრუებული იმედები“, „იასონის თაინები“.

ზუბალაშვილის „სახალხო სახლი“ უპირველეს ყოვლისა მართლაც სახალხო დაწესებულებაა და შეიძლება ითქვას, რომ მისი მოღვაწეობა საერთოდ ხალხის დემოკრატიული ნაწილის ინტერესებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ამ სახლის ქართულმა დრამატიულმა სექციამ ყოველი ისეთი მდარე ხასიათის პიესები დასდგას ამ სცენაზე, რომლებმაც კარგი ხანია დრო მოსჭამეს ან

და სოფლის ღარიბი სცენებისათვისაა დაწერილი.

წარსული კვირის საღამო-წარმოდგენა, სახალხო სახლში, სერიოზული ხასიათის არ ატარებდა და სამართლიან პროტესტს იწვევდა აუდიტორიის ზოგიერთი წევრებისაგან —სცენების და დიალოგების გაჭიანურების გამო.

აზიანის პიესა „გაცრუებული იმედები“ ცხადია, რეალური არაკითაა დაწერილი და თავის დროზე მას აუცილებლად ექნებოდა შესაფერისი ფასი მხოლოდ დღევანდელი საზოგადოებისათვის მას აღარ აქვს დიდი ლიტერატურული ღირებულება და ვერც ისტორიული გარემოების გადმომცემ მასალად გამოვიყენებთ მას.

შესრულების მხრივ პიესა კარგად ჩატარდა, იმდენად რამდენადაც თვით პიესა ქმნიდა სცენის სიცოცხლეს და მსახიობის თამაშს არ ბორკავდა.

როლების კარგმა შესრულებამ მაინც ვერ გამოისყიდა ის უარყოფითი ეფექტი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, პიესის უსიცოცხლო და ერთ ფეროვანი სცენები ქმნიდა. გაჭიანურებული დიალოგები დრო გადასულ თემებზე—სურათის უმოძრაობა, აუცილებლად მომაბეზრებელი შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ აყენებდა მაყურებელ საზოგადოებას.

ეს კომედია არ არის იმდენად სერიოზული, რომ მისი შესრულება განსაკუთრებულ ნიჭს და სასცენო პლასტიკას მოითხოვდეს ამსრულებელთაგან და ამდენათვე ამ საღამოს მსახიობებმა ადვილად შესძლეს ტიპის სრული სურათების გადმოცემა და მათი ტრაგი-კომედიის სულიერი მოძრაობის განცდა.

ივ. გომართლის „იასონის ოინები“ სახალხო სახლის სცენისათვის სრულებით არ ირის გამოსადეგი და შესაფერისი. პიესის ფაბულა ორ მოქმედებათაა გაჭიანურებული იმ დროს, როცა მისი ერთ მოქმედებაში ამოწურვა ადვილად შეიძლებოდა. პიესაში არის ზოგიერთი კომიკური სცენები, რომ ხშირად ზედმეტ გადაჭარბებას არ ქონდეს ადგილი და „თეიმურაზ“ „ივანე“-ს ძალზე მოსაწყენ დიალოგებს არ ქონდეს დათმობილი ადგილი.

ხშირად არ არის საჭირო შეუფერავი ნატურალიზმის სცენაზე გაცილება.

ამ მხრივ პიესა ძალზე მოიკოჭლებს.

ეს პიესა რამდენადაც გასაქანს აძლევდა (ისე როგორც პირველი) მსახიობის შემოქმედებითი არეს, გვარიანად ჩატარდა.

კარგი იყო თეიმურაზი, როგორც როლის შესრულებით, ისე გარეგობით და გრიმითაც მხოლოდ თავის „იმე“-თი გადააჭარბა.

ივანემაც შესაფერისად გადმოგვცა „ტახტის აზნაურის“ მხლებლის მდგომარეობა იმ პირობებში, რაშიაც ის იყო ჩაყენებული პიესის ავტორის მიერ.

მეორე მოქმედება, როდესაც თეიმურაზი და ივანე თეატრში არიან სცენაზე უნდა ხდებოდეს მთლიანად და არას გზით არ შეიძლება მათი ნამდვილ აუდიტორიაში გაჩერება სხვა მაყურებელ დამსწრე ხალხთან. შეიძლება ამან დადგმა გაართულოს მაგრამ თუ დაიდგმება ასე უნდა დაიდგას.

სხვებიც კარგად ასრულებდნენ თავიანთ როლებს და ანსამბლს ხელს უწყობდნენ..

საერთოდ არ არის სასურველი შემდეგში ასეთი მდარე პიესები იდგმებოდეს სახალხო სახლის სცენაზე.

უნდა ვეცადოთ სერიოზული და თანამედროეობის ხასიათის დრამატიული ნაწარმოები მიაწოდოს ხალხს.

გ. თ—ლი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

№ 39.

ფაბრიკა-ქარხნებისა და სამთო-სამრეწველო წარმოებათა ცეცხლისაგან დაცვის შესახებ.

1. ფაბრიკა-ქარხნების და სამთო-სამრეწველო წარმოებათა მეპატრონეები და მოიჯარადრეები ვალდებულნი არიან, ცეცხლის გაჩენის თავიდან ასაცდენად, შეასრულონ გარდა სათანადო კანონებისა და სავალდებულო დადგენილებათა, აგრეთვე ქვემო-აღნიშნული წესები.

I. ცეცხლის საწინააღმდეგო მეთვალყურეობა.

2. ყოველ წარმოებაში უნდა იყოს თანამდებობის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს წარმოების უშიშროებას ცეცხლის გაჩენის მხრივ და განაგებს ხანძარისაგან დაცვის საქმეს.

3. წინა მუხლში აღნიშნული თანამდებობის პირი თვალყურს უნდა ადევნებდეს:

ა) რომ დარაჯები სისწორით ასრულებდნენ საღარაჯო სამსახურის ყველა წესებს;

ბ) რომ ცეცხლის საწინააღმდეგო იარაღები და მოწყობილებანი რიგიან მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ყოველთვის მზად იყვნენ სამოქმედოდ.

გ) რომ წყალი საკმაოდ იყოს მომარაგებული ცეცხლის ჩასაქრობად.

დ) რომ სრულდებოდეს სიფრთხილისათვის საჭირო ზომები ცეცხლის ხმარების დროს.

ე) რომ დარაჯებისა და მუშების საკმაო რიცხვს კარგად ჰქონდეს შესწავლილი ცეცხლის ქრობის საშუალებანი და წესები; და სხ.

4. იმ თანამდებობის პირის ვინაობა, რომელსაც დავალებული აქვს წარმოებაში ცეცხლისაგან დაცვის საქმე, წარმოების მეპატრონემ (ან მოიჯარადრემ) უნდა აცნობოს წერილობით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ხანძარისაგან დაცვის ნაწილის, შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას და ადგილობრივ ხანძარის საწინააღმდეგო ორგანიზაციას.

შენიშვნა: მსხვილ წარმოებაში, რომელშიაც მუშების რაოდენობა 200-მდე აღწევს, ან ამ რიცხვს აღემატება, ან საწარმოო ძალა არის არა ნაკლები 150 ცხენის ძალისა, ცეცხლისაგან დაცვის საქმის გამგე პირს არ შეუძლია დაიკავოს სხვა რაიმე თანამდებობა; დანარჩენ წარმოებებში კი შეიძლება რომ ასეთ პირებს სხვა თანამდებობაც ეჭიროს იმავე წარმოებაში.

5. ყოველ წარმოებაში შემოღებულ უნდა იყოს ცეცხლის მქრობ და დარაჯების საკმაო რიცხვის მორიგება მთელი დღე-ღამის განმავლობაში. დარაჯები რიცხვი უნდა შეეფერებოდეს შენობათა რიცხვს, რომლებიც წარმოებას უჭირავს, მათ სივრცეს, მუშების რაოდენობას, წარმოების ხასიათს და ცეცხლის მხრივ გაჩენის მოსალოდნელ საფრთხეს.

ცეცხლის მქრობი დარაჯები არ უნდა აღნიშნებოდნენ სხვა სამუშაოზე, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულებ არა აქვს მათ მოვალეობასთან, რომელიც ნაჩვენებია შემდეგი მუხლში.

6. ცეცხლის მქრობი დარაჯები მოვალენი არიან:

ა) შეამოწმონ ხოლმე ხანგამოშვებით, წინდაწინვე შედგენილი ცხრილის თანახმად, წარმოების სადგომები და თვალყური ადევნონ, რომ სრულდებოდეს ცეცხლის გაჩენის საწინააღმდეგო ყველა ზომები და დაყოვნებლივ გაასწორონ ყველა შემჩნეული უწესობა, ხოლო როდესაც ეს ვერ მოხერხდება მოახსენონ ამის შესახებ ცეცხლისაგან დაცვის გამგეს. და ბ) ხანძარის ნიშნების გამოჩენის უმალვე გამოიწვიონ ცეცხლის მქრობი რაზმი და მიიღონ სხვა ზომები ცეცხლის ჩასაქრობათ.

შენიშვნა: წარმოების ხან გამოშვებით დათვალიერებას დარაჯების მიერ ცეცხლის დაცვის საქმის გამგე შეამოწმებს საგანგებო წიგნებში აღნიშვნით საკონტროლო საათებით და სხვა საშუალებით.

II. ხანძრის სიგნალიზაცია.

7. რათა ცეცხლის გაჩენის ამბავი სასწრაფოდ ეცნობოს ვისაც ჯერ არს და მალე გამოწვეული იქნეს საწინააღმდეგო დახმარება, მალე ყოველ წარმოებაში უნდა შემოღებული იქნეს ქვემო ნაჩვენები სიცეცხლო სიგნალიზაციის ერთ-ერთი საშუალება:

ა) ტემპერატურის ცვლილების წყალობით ავტომატიურათ მომქმედი სიგნალიზაცია, რომლის სათანადო აპარატი მოწყობილი უნდა იქნეს წარმოების იმ სადგომებში, რომლებიც ცეცხლის მხრით უფრო საშიში არიან;

ბ) ხელით სამოძრავო ელექტრონის შემტყობების შიგნით და გარეთ;

გ) სატელეფონო ქსელი, რომლის საშუალებებითაც შეიძლება შეტყობინება ცეცხლის გაჩენის, როგორც ადგილობრივ სადარაჯოსათვის, აგრეთვე მახლობელ ცეცხლის მქრობ ორგანიზაციისთვის.

დ) ხმოვანი სიგნალიზაცია საგანგაშო ზარების საშუალებით, რომლებიც მოწყობილი უნდა იქნეს შესაფერის ადგილებზე და ბუკებისა, სასტვენების და სხვა ხმოვანი იარაღების საშუალებით, რომლებიც ცეცხლის მქრობ დარაჯებს უნდა მიეცეს.

8. წინა მუხლის მიხედვით მოწყობილი სიცეცხლო სიგნალიზაცია უნდა რიგიანად დაცული იყოს და ხანგამოშვებით ისინჯებოდეს ცეცხლის დაცვის გამგის მიერ, საჭირო შემთხვევებში, სპეციალისტების მონაწილეობით.

9. ცნობები ცეცხლის ჩასაქრობად დახმარების გამოსაწვევ საშუალებათა შესახებ გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილებზე და წარმოების მუშები ამ საშუალებებს გაცნობილი უნდა იყვნენ.

III. ცეცხლის საწინააღმდეგო საშუალებების მოწყობა და მოვლა

10. წარმოებათა სადგომებში, სადაც სწარმოებს მუშაობა ან საწყობია მოთავსებული, აუცილებლად უნდა იყოს ცეცხლის საწინააღმდეგო პირველი დახმარების საშუალებანი, როგორიც არის: ქვევარე ფერით შეღებილი კასრები, რკინის კეტები (ძალაყენები), ცულები, თოკები, ქვიშიანი ყუთები ადვილათ ასაღები სითხეთა ჩასაქრობი ქეჩები და საბნები ცეცხლმოკიდებული ტანსაცმლის და სითხეების ჩასაქრობათ, ჰიდროპულტები, ქიმიური ცეცხლის-მქრობლები სიმქლოსისტემისა და სხ.

11. წინა მუხლში აღნიშნული ხელსაწყოები უნდა დაწყობილი იყვნენ [illegible] სადგომებში, წარმოების ხასიათის მიხედვით ადვილათ ხელმისაწვდომ ადგილებზე, ყოველთვის გამოსადეგარი და მომზადებული დაყოვნებლივი მოქმედებისათვის.

12. ხელით სახმარი ცეცხლის მქრობლები უნდა ხანგამოშვებით იცვლებოდნენ და ეს გამოცვლა საგანგებო წიგნში უნდა აღინიშნებოდეს ყოველი გამოცვლის შემდეგ ცეცხლის მქრობლები უნდა იყვნენ მომარაგებული და მზათ ხმარებისათვის. თვითეული ცეცხლის-მქრობი ან უნდა იყოს სათანადო დარიგება, მათი ხმარების შესახებ.

13. კასრებისა და ჰიდროპულტების სარგებლობის უზრუნველსაყოფად ცეცხლის ჩაქრობის დროს ცეცხლისაგან დაცვის შენობებში უნდა იყოს წყალსადენის ბოჭკები, ხოლო უკეთუ წყალსადენი არ არსებობს, ან წყალი საკმაო ძალით არ აწვება სადენს (მ. 15), ხანდ უნდა მომზადებული იყოს წყლით სავსე ბოჭკები ან სხვა ასეთი ჭურჭელი.

IV. წყლის მომარაგება

14. წყლის მომარაგება წარმოებაში ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ წყალი ყოველთვის საკმაო იყოს ცეცხლის ჩასაქრობათ.

15. თუ წარმოების სადგომში წყალსადენი არსებობს, ამ წყალსადენს ისეთი დაწნევის ძალა უნდა ქონდეს, რომ წყლის ჩქერს შეეძლოს ზედა სართულში [illegible]. უჭეროო შენობებში წყლის ჩქერი სახურავს უნდა სწვდებოდეს.

თუ ჩქერი სუსტია და საკმაო სიმაღლეს ვერ აღწევს, ის უნდა მოწყობილი იყოს დამხმარე წყლის საქაჩავით, ან გამოყენებული იქნეს სხვა საშუალება, რომლებიც გაადიდებენ წყლის დაწნევას აღნიშნულ სიმაღლემდე.

16. წარმოებათა წყალსადენს უნდა ქონდეს მოწყობილი შინაგანი და გარეგანი ბოჭკების საკმაო რიცხვი, ხოლო წყლის მილები უნდა იყვნენ დიამეტრით არა ნაკლები 2 დიუმისა.

17. გარეგანი სახანძრო ბოჭკები უნდა მოთავსებული იყვნენ არა უახლოეს 4 საჟენისა შენობის გარეგანი კედლიდან.

სახანძრო ბოჭკების მდებარეობა უნდა აღნიშნულ იყოს შენობის კედლებზე თვალსაჩინო ნიშნებით, ან სხვა საშუალებით და მათთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს.

18. ფაბრიკის ან ქარხნის თვითეული შენობა უნდა დაცული იყოს გარეგანი ბოჭკების ისეთი რიცხვით, რომ სახელურების საშუალებით, რომლებთა სიგრძეც 20 საჟენს არ აღემატება, შეიძლებოდეს კედლებისა და ბინების ყოველ ადგილას მორწყვა.

19. თუ წარმოებაში სახანძრო ბოჭკები მიწის ქვეშ არიან მოწყობილი, იმათთვის წარმოებას უნდა ქონდეს სტენდერები თვითეულ ბოჭკისათვის თითო, საერთოდ ხუთ ცალამდე მთელ წარმოებაში.

20. სახანძრო შინაგანი ბოჭკები უნდა იმყოფებოდენ ფაბრიკა ქარხნის ყოველ სართულში და მოწყობილი იყვნენ უმთავრესად გასავლელთან, ისე, რომ თითოეული სადგომის მორწყვა შეიძლებოდეს ყოველ ადგილას უმახლობელესი ბოჭკიდან 10 საჟენზე არა უგრძესი სახელურის საშუალებით.

21. თითოეულ ბოჭკთან თვალსაჩინო და ადვილი მისაწვდომ ადგილზე მუდამ უნდა იმყოფებოდეს გასაშლელად მომზადებული სახანძრო სახელურები სიგრძით არა ნაკლები 10 საჟენისა; სახელურების ქანჩები უეჭველად უნდა უდგებოდეს ერთმანეთს, ამას გარდა ყოველ ბოჭკთან უნდა იყოს ლულა ბუნიკით არა ნაკლებ დიუმისა დიამეტრით.

სახელურები, ლულები და სტენდერები უნდა რიგიანათ მოვლილი იყო და წესიერათ ინახებოდეს.

22. წარმოებაში უნდა ხელსაწყობი, სახანძრო სახელურების საჩქაროთ შემაერთებელი ცეცხლისაგან დაცვის იმ ორგანიზაციის სახელურებთან, რომელიც ამ რაიონს იცავს.

23. თუ წყალსადენი არ არის ან შეუძლებელია მისი მოწყობა ზემომოყვანილ მოთხოვნათა თანახმად, დაწესებულებაში უნდა მოეწყოს ხელოვნური აუზები, გუბეები, ჭები და სხვა. ან უნდა გაყვანილი იყვეს გზები მდინარეებთან, ტბებთან და სხვა ასეთ ადგილებთან, თუ ასეთი ადგილები მოიპოვებიან წარმოების რაიონში, იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული წყაროები უზრუნველყოფდენ ცეცხლისაგან დაცვის საქმეს საკმაო წყლით.

აღნიშნული აუზების სათანადო გამოყენებისათვის წარმოებათა შენობებში უნდა იყოს საკმაო ძალის საქაჩავები და აგრეთვე წყლის მიმღები და გადამსხმელი სახელურების საკმაო რიცხვი.

V ზომები ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ:

24. წარმოებათა შენობების გათბობის დროს ღუმელების საშუალებით საჭიროა:

ა) რომ ღუმელები და საკვამლეები განცალკევებული იყვნენ შენობის ადვილად ასანთები ნაწილებისაგან და სხვა ასეთივე საგნებისაგან;

ბ) რომ ღუმელებსა და საკვამლეებთან არ ინახებოდეს სათბობი მასალა, ბურბუშელა და წარმოების საწვავი ნივთიერებანი;

გ) რომ თუ სახელოსნოებში [illegible], საცეცხლურები დაცული იყვნენ ცეცხლის [illegible]:

დ) რომ საცეცხლურების წინ ხის იატაკზე დაკრული იყოს ლითონის ფურცელი;

ე) თუ შენობებში მოწყობილია საკვამლე მილები, ასეთი გაკეთებული უნდა იყოს საიმედოთ.

ვ) ფაბრიკა-ქარხნების შენობებში და სახელოსნოებში დროებით გათბობის მოწყობა ხელით ასადები ღუმელებით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს საშიშო არ იქნება ცეცხლის გაჩენის მხრივ.

ზ) აგურის საკვამლე მილები ჩარდახზე გათეთრებული უნდა იყოს. საკვამლეების და ღობეების გაწმენდა უნდა ხდებოდეს ორჯერ მაინც თვეში:

თ) ორთქლით გათბობის დროს საკვამლეები ისე უნდა იყოს მოწყობილი ისინი არ ეხებოდეს ხის ნაწილებს ან სხვა ცეცხლის მოსაკიდებელ საგნებს.

25. როდესაც წარმოებაში მოწყობილია განათება გაზის საშუალებით, საჭიროა რომ არ იყოს დაუხურავი ცეცხლი და რომ შენობის ხის ნაწილები, რომლებიც სანათურების ახლო არიან მოთავსებული, უზრუნველყოფილი იყვნენ გახურებისაგან. როდესაც წარმოებაში მოწყობილია ცენტრალური სისტემის განათება ალკოლის, ბენზინის, ნავთის და სხვა გაზების საშუალებით. გაზის გამომუშავებელი და მომწოდებელი აპარატები უნდა [illegible] ცალკე სადგომებში, რომლებშიაც მოწყობი[illegible] ვენტილაცია [illegible] და [illegible] საკუთარი გამოსასვლელი აქვთ გარეთ.

განათება ნავთით. პირონაფთით და სხვა მზგავსი პროდუქტების საშუალებით დასაშვებია მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც არ არის ელექტრონის ქსელი და არც საერთო მოსახმარი საგაზო მილები.

ამასთანავე რეზერვუარები უნდა იყოს ლითონისა, სანათურები მტკიცეთ უნდა იყოს მიმაგრებული კედელსა და ჭერზე და მათ ახლო მდებარე ხის ნაწილები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გახურებისაგან.

სანათურების მოვლა მოხმარების ან საზოგადოდ არა საიმედო პირების მიერ და აგრეთვე ანთებული სანათურების გადატან-გადმოტანა სადგომებში აკრძალულია.

სანთლებით განათების მოწყობა შეიძლება მხოლოდ მილებიან ფარნებში.

26. ვენტილიაცია წარმოებათა სადგომებში ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ცეცხლის გაჩენის დროს სავენტილიაციო მილების გზით, ცეცხლი ან კვამლი არ გადავიდეს სადგურის ერთი ნაწილიდან მეორეში.

27. ასავალ ჩასავალ კიბეებს და სხვა ამისთანებს უნდა გაკეთებული ქონდეს ისეთი მოწყობილობა, რომელიც ცეცხლის გაჩენის დროს ერთ რომელიმე სართულში დააბრკოლებს ცეცხლის გავრცელებას სხვა სართულებზე.

28. საშრობებს, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნების შენობებისა, სახელოსნოებისა ანუ საწყობებისა შიგნით იმყოფებიან კედლები და ჭერები უნდა ჰქონდეს გაკეთებული ცეცხლის მძლე მასალისაგან. ცეცხლით შრობის დროს საცეცხლური უნდა მოწყობილი იყვეს ცალკე სადგომში, საშრობის გარეშე.

29. მჩვრები, ქაღალდის ნაგლეჯები, ჩვრები და სხვა რომლითაც მანქანები იწმინდება, უნდა ინახებოდეს თავსახურავიან ლითონის ყუთებში. ნახერხი, ხის ნაჭრები, ბურბუშელა და სხ. უნდა ინახებოდეს ცეცხლის გაჩენის მხრივ უშიშარ ადგილზე.

30. აკრძალულია წარმოების კიბეების ქვეშ და ჩარდახზე რაიმე საგნების და მასალების შენახვა; აგრეთვე აკრძალულია ჩარდახზე მუშებისათვის ბინების მოწყობა.

31. თამბაქოს მოწევა ისეთ შენობებში, სადაც აუცილებელი არ არის მისი აკრძალვა, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით რომ მიღებული იქნება ზომები ცეცხლის გაჩენის საფრთხის წინააღმდეგ (როგორც მაგალითად) პაპიროსისა და ასანთის ნამწვავების ჩასაყრელი ყუთის დადგმა და სხვა).

(დასასრული იქნება)

ი. მჭედლიშვილის განცხადება

ეს მეექვსე წელიწადია, რაც ჩემი სახელით ვიღაც აფერისტი ხალხში ფულსა ჰკრებს „თავისი წიგნის გამოსაცემად“. მეექვსედ ვაცხადებ ეს მე არა ვარ და ამისათვის, როდესაც მიიღოთ წერილი, ან ვინმე მოგზავნილი კაცი დახმარების მისაღებად, მოექცეთ ისე, როგორც ავანტიურისტებს. საშვალება არა მაქვს ყველა გაზეთებში გამოვაცხადო და ამისათვის ამ განცხადებასთან ერთად მიიღეთ ჩემი მწუხარებაც.

ი. მჭედლიშვილი.

დვაკარგე შრომის ბირჟიდან მოცემული წიგნაკი № 2691-ით 27VII 1922 წ. მარიამ ივანეს ასული ხოსიტაშვილის სახელობაზედ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დეკემბრის 13-ს, საღამოს 4-ს საათზე, ქ. ტფილისში გარდაიცვალა

მუხრან ხოჭოლავა

რასაც მისი მეგობრები და ნათესავები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 17 დეკემბერს, დილის 12 საათზე ყორღანოვის ქუჩიდან სახ № 16.

3—2

ტირაჟი 1300

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.